

# ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

გულნაზი ბაძალუას

2019 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ამომრჩევლებო

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ამგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის შესაბამისად, იგი მოიცავს პერიოდს 2019 წლის იანვრიდან დღემდე.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვხელმძღვანელობდი ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით საკრებულოს წერვისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებო.

პირველად ვარ „ქართული ოცნების“ პარტიული სიით საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს წევრობა ჩემთვის დიდი პასუმხისმგებლობაა. როგორც დეპუტატი ჩართული ვიყავი საკრებულოს მიერ მისადებ სამართლებრივი აქტების განხილვა-დამტკიცებაში.

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოს, კომისიის და ფრაქციის სხდომებში.

ვარ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და ამ ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების პროგრამების საკითხები, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას.

აგრეთვე ვარ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი,, საპატიო ჩხოროწყუელის“ წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის წევრი

ა.(ა).ი.პ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლანდელი-სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების საბავშვო ბაგა -ბაღებში საკონკურსო კომისიის წევრი.

ა.(ა).ი.პ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლანდელი-სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების სახელმწიფო შესყიდვების მუდმივ მოქმედი სატენდერო კომისიის წევრი

მქონდა როგორც გასვლითი, ასევე ადგილზე შეხვედრები ამომრჩევლებთან მოქალაქებთან შეხვედრების დროს ვცდილობ ჩემი კომპენდეციების ფარგლებში დახმარება გაუწიო ყველას, რომ რეაგირების გარეშე არ დარჩეს მათი პრობლემები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: გულნაზი ბაძალუა

2 ნოემბერი 2019 წელი